სოციალური და კულტურული პროექტების სტუდენტური კონკურსი

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია მოხარულია შეგატყობინოთ, რომ აკადემიაში შეიქმნა **სოციალური და კულტურული პროექტების სტუდენტური კონკურსის მხარდასაჭერი საგრანტო ინიციატივა.** მას მართავს კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისგან. კომისიის მიზანია ინტერ და ტრანს-დისციპლინური ინიციატივების გაძლიერება კომპლექსური საკითხების გადასაჭრელად ჯანდაცვის სფეროში, რაც ეხმიანება აკადემიის მისიას- ემსახუროს და სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას.

მოხარულები ვართ გამოვაცხადოთ *პირველი კონკურსი სოციალური და კულტურული სტუდენტური პროექტებისთვის.* კონკურსის ფარგლებში საგრანტო წინადადებების მიმართულები უნდა ეხმიანებოდეს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთს:

1) მდგრადი განვითარების მიზნებიდან (UN SDGs) ერთ-ერთ მიზანს (https://sdgs.un.org/goals)
2) პლანეტარულ ჯანმრთელობას (გარემოს დაცვითი ინიციატივები)
3) შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საჭიროებებს

საგრანტო წინადადების პირობები:

წარსადგენი დოკუმენტები:

1) შევსებული საგრანტო ფორმა (იხ. დანართი)
2) პროექტის განხორციელების სამოტივაციო წერილი (შესაძლოა დაწერილი იყოს განმცხადებლის/განმცხადებელთა გუნდის მიერ), პროექტში მონაწილე სტუდენტების როლების და პასუხისმგებლობების აღნიშვნით
3) პროექტში მონაწილე (ასეთის შემთხვევაში) პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლობის სურვილის დამადასტურებელი წერილი(ები)

საგრანტო წინადადების საბოლოო წარდგენის ვადაა: 15 აპრილი, 2024

წარმდგენი: წარმდგენი უნდა იყოს თსა-ს სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი. პროექტში მონაწილეების როლები, პასუხისმგებლობები უნდა იყოს გაწერილი.

პროექტების ხანგრძლივობა: უნდა იყოს მინიმუმ 3 თვის და მაქსიმუმ 6 თვის ვადით. პროექტების განხორციელების პროცესში, განმცხადებლები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ პროგრესის ამსახველი შუალედური და საბოლოო ანგარიშები პროექტების ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

ბიუჯეტი: თითოეული პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს *3000 ლარს.* ბიუჯეტი არ ითვალისწინებს სახელფასო ჰონორარს.

გამარჯვებული პროექტის ავტორებთან გაფორმდება ხელშეკრულება.

შესავსები ფორმა: საგრანტო წინადადებები შევსებული უნდა იყოს სპეციალურ ფორმის მიხედვით (იხ.დანართი).

შეფასება: შეფასება მოიცავს 1-3 ქულიან სკალას. სადაც 1 მიუთითებს ყველაზე ცუდ ქულაზე და 3 მიუთითებს საუკეთესო შესაძლო ქულაზე.

კრიტერიუმები, რომლითაც იხელმძღვანელებენ კომისიის წევრები:

1. **საზოგადოებრივი სარგებელი:** რამდენად მოუტანს შემოთავაზებული საპროექტო იდეა სარგებელს საზოგადოებას?
2. **ორიგინალობა:** არის თუ არა შემოთავაზებული იდეა ახალი და საინტერესო?
3. **წინადადების დიზაინი:** არის თუ არა წინადადება მაღალი ხარისხის (კარგად სტრუქტურირებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, კარგად დასაბუთებული)
4. **პროექტის განხორციელების შესაძლებლობა (feasibility):** არის თუ არა სამუშაო გეგმა მკაფიო და შეუძლია თუ არა განმცხადებელს მიაღწიოს დაპირებულს?
5. **რეკომენდაცია:** რეკომენდაციას გაუწევდით თუ არა პროექტს დასაფინანსებლად?
6. **საერთო შეფასება:** განმცხადებლის და საპროექტო წინადადების შესახებ მოკლე მიმოხილვა, ასევე არის თუ არა რაიმე შემოთავაზება (როგორიცაა როგორ გააუმჯობესოს წინადადება, თუ ის გადაწყვეტს ხელახლა გააკეთოს განაცხადი).

ამასთანავე, განხილვისას გათვალისწინებული იქნება სტუდენტების პროფესიული პროფილი (პროფესიონალიზმი, ჩართულობა კვლევით და ექსტრა-კურიკულურ აქტივობებში, აკადემიური მოსწრება).

საგრანტო წინადადებები მიიღება არა უგვიანეს **2024 წლის 15 აპრილისა,** შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: studentgrants@tma.edu.ge. გამოგზავნილი წერილის სათაურში (subject line) მითითებული უნდა იყოს „**Student Competition of Social and Cultural Project**".

ინფორმაცია გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება თსა-ს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში.

კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: studentgrants@tma.edu.ge